ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №812 /06
(კონსოლიდირებული ტენდერი CON **CON170000015**)
(30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები)

ქ. თბილისი 04 ოქტომბერი 2017 წ.

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით, მეორეს მხრივ **შპს „იუ–ჯი–თი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის №12 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით, აგრეთვე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

„დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შემდგომ დებულებებში სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული.

1.5 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.6 თუ ხელშეკრლებით გათვალისწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.7 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.8 „ფორსმაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით:

1. საგრანტო პროექტი# 217430 ხელმძღვანელი რ. ჭკადუა - 2 ცალი;
2. საგრანტო პროექტი# STCU-2016-16 ხელმძღვანელი ო. მუკბანიანი - 1 ცალი;
3. საგრანტო პროექტი# AR/216966 ხელმძღვანელი ე. გამყრელიძე - 1 ცალი,

სულ **4** (ოთხი) **ცალი** სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი - სტანდარტული ლეპტოპის (CPV 30213100) სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1–ის, დანართი №2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჰესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება") 5039,96 (ხუთიათასოცდაცხრამეტი ლარი და 96 თეთრი) **ლარი, დღგ-ს ჩათვლით.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის სტანდარტული ლეპტოპ(ებ)ის სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ვადების მიხედვით, კერძოდ, განახორციელოს სტანდარტული ლეპტოპ(ებ)ის მიწოდება შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, მისი პირველი მოთხოვნიდან (მიუხედავად პირველი მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 45 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

გ) გაავრცელოს სტანდარტულ ლეპტოპებზე 3 (სამი) წლიანი საგარანტიო მომსახურება, რომლის მიხედვითაც, მისი დაზიანების შემთხვევაში 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთებს ან შეცვლის მას ახლით.

დ) უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;

ე) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ზ) უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლისაგან შესყიდული სტანდარტული ლეპტოპის ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯებით, ასევე უზრუნველყოს მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში სტანდარტული ლეპტოპის ტრანსპორტირება.

გ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, შეათანხმოს საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების საორიენტაციო ვადები. განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

დ) უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება;

ე) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკის, მაკომპლექტებელი და სათადარიგო ნაწილების ინსპექტირების ჯგუფი.

5.2 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღე, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღე. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: lia.bakashvili@tsu.ge ; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი Gela.gaprindashvili@ugt.ge);

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ №17ა

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში;

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

7.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.3 საქონლის მიწოდებისას მიმწოდებელი განახორციელებს სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის ატვირთვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით;

7.4 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე **უფლებამოსილი პირია ნუკრი ხატიაშვილი** და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე **უფლებამოსილი პირია თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა;**

7.5 მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია პროექტის მენეჯერი, **გელა გაფრინდაშვილი;**

8. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და/ან შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის გამოწერიდან და ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. გარანტია

9.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან სამი წლის განმავლობაში;

9.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას მოთხოვნიდან და საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში შესყიდვის ობიექტში გამოვლენილი წუნი (ხარვეზი) არ ექვემდებარება აღმოხვრვას (შეკეთებას), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;
10.3 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:
ა)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
10.4 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) სტანდარტული ლეპტოპის ხელშეკრულებით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობით;
10.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;
10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.2 საქართველოს კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
12.3 თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკებების საფუძველზე.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
14.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
15.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს/კ – 204864548
მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.№1
ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
(გრანტი 217430; STCU-2016-16 და AR/216966)

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ.ოვსიანიკოვა/

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი
ს/კ – 204892964
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ №17ა
ტელეფონი: 2 220505
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№ GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22,

გენერალური დირექტორი:

/ე.სულაძე/

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 812/06 04 ოქტომბერი 2017 წელი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
	სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი - სტანდარტული ლეპტოპი	4	1 259.99	5039,96
			სულ დღგ-ს ჩათვლით:	5039,96

შემსყიდველი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ. ოვსიანიკოვა/

მიმწოდებელი

შპს „იუ-ჯი-თი“

გენერალური დირექტორი:

/ე. სულაძე/

სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის ტექნიკური მაჩვენებლები

№	სავალდებულო მოთხოვნები	მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები
1	ლეპტოპის დასახელება (ბრენდი)	Acer EX2540 Notebook PC
2	მწარმოებელი ქვეყანა	ჩინეთი
3	პროცესორი: (მწარმოებელი, მოდელი)	i3-6006U
4	ბირთვების რაოდენობა	4 (ოთხი)
5	ლითოგრაფია	14nm
6	ნაკადების რაოდენობა	4 (ოთხი)
7	ქეში	3MB SmartCache
8	ტაქტური სიხშირე	2.00 GHz
9	ოპერატიული მეხსიერება	4GB DDR3 1600 MHz
10	მყარი დისკი	256 GB SSD, თანმიმდევრული წაკითხვის სიჩქარე არანაკლებ 400 MB/s, თანმიმდევრული ჩაწერის სიჩქარე არანაკლებ 170 MB/s
11	ოპტიკური დისკების წამკითხავი მოწყობილობა	DVD-ის ჩაწერა/წაკითხვა
12	ქსელი	10/100/1000 Ethernet Controller
13	რადიო ქსელი	802.11 b/g/n, Bluetooth
14	ეკრანი	„15.6", LED უკანა განათებით, 1366x768 გარჩევადობა
15	გრაფიკული ადაპტერი	ინტეგრირებული
16	ხმის ადაპტერი	ხმამაღლამოლაპარაკე, Stereo headphone, microphone jack
17	ინტერფეისები	1x HDMI, 3x USB 2.0, 1x RJ-45, 1x კვების ბუდე
18	Card Reader	არაა სავალდებულო
19	ვებ კამერა	აქვს
20	კლავიატურა	მინიმუმ 100-კლავიშიანი
21	ოპერაციული სისტემა	Preinstalled Windows 10 Professional 64 OEM

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ. ოვსიანიკოვა/

შპს „იუ-ჯი-თი"

გენერალური დირექტორი:

/ე. სულაძე/